

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 30 მაისის ბრძანება № 117/01-01 საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) და ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის № 56/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

### ოქმი 3

(შემაჯამებელი-კორექტირებული)

ქ. თბილისი

21 ივლისი, 2023 წ. 15:00

2023 წლის 21 ივლისის 15 საათზე ჩატარდა საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა თსუ XI კორპუსში, 335 კაბინეტში.

**სხდომას კომისიის ხუთი წევრიდან ესწრებოდა ხუთივე:**

1. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ელიზბარ ნადარაია (კომისიის თავმჯდომარე);
2. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახობაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა (კომისიის მდივანი);
4. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე;
5. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ალექსანდრე აპლაკოვი

**დღის წესრიგი:**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 30 მაისის ბრძანება № 117/01-01 საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) და ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.

1. **მოისმინეს:** მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - მესხია რუსუდან, შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ელიზბარ ნადარაიამ. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

**შეფასების I კატეგორია:** კონკურსანტ რუსუდან მესხიას განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

**შეფასების II კატეგორია:** ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს.

**შეფასების III კატეგორია:** ამ კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო შეფასება მაღალი. რ. მესხიას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში - 2, ხოლო სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - 8, მეთოდურ ჟურნალში-4. ციტირების ინდექსი 1, h-ინდექსი - 1 Web of Sciences-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 1, h-ინდექსი - 1 Scopus-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 4, h-ინდექსი - 1 Google Scholar-ის მიხედვით. მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე - 0, ადგილობრივზე - 7. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

**შეფასების IV კატეგორია:** კონკურსანტმა მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი-გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის -მათემატიკური ანალიზის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ რუსუდან მესხიას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთმეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი რუსუდან მესხიას კანდიდატურას.

- კათედრა-მათემატიკური ანალიზი
- რუსუდან მესხია-გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე-5; წინააღმდეგი-0;

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული ტვისებები და უნარ-ჩვევები.

**დაადგინეს:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტზე, კათედრა-მათემატიკური ანალიზი-ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა რუსუდან მესხია.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა-შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

3. მოისმინეს: ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე კანდიდატის - ხეჩინაშვილი ზაზა, შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ელიზბარ ნადარაიამ. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

**შეფასების I კატეგორია:** კონკურსანტ ზაზა ხეჩინაშვილის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

**შეფასების II კატეგორია:** ამ კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, პროფილით მუშაობის სტაჟი, გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული/წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილს შეესაბამება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ ფორმატსა და მოთხოვნებს.

**შეფასების III კატეგორია:** ამ კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო შეფასება მაღალი. ზ. ხეჩინაშვილს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში - 3, ხოლო სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - 31. ციტირების ინდექსი 2, h-ინდექსი - 1 Web of Sciences-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 3, h-ინდექსი - 1 Scopus-ის მიხედვით; ციტირების ინდექსი 15, h-ინდექსი - 2 Google Scholar-ის მიხედვით. მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე - 2, ადგილობრივზე - 11. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

**შეფასების IV კატეგორია:** კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი-გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის -ალბათობის და სტატისტიკის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები. კონკურსანტი ჩართულია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს სასწავლო პროცესში და კითხულობს სხვადასხვა კურსებს, მას გავლილი აქვს გადამზადება ა.შ.შ-ში კალიფორნიაში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. იქ მიღებულ გამოცდილებას წარმატებით იყენებს თსუ-ში, კერძოდ კითხულობს ლექციებს კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან პროგრამაზე. გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები და კონკურსანტი კარგად ფლობს საოფისე პროგრამებს და იყენებს სასწავლო პროცესში.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ ზაზა ხეჩინაშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ზაზა ხეჩინაშვილის კანდიდატურას.

- კათედრა-ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
- ზაზა ხეჩინაშვილი-გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე-5; წინააღმდეგი-0;


საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

#### დაადგინეს:


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტზე, კათედრა-ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა-ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ზაზა ხეჩინაშვილი.


4. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა-შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი ელიზბარ ნადარაია



კომისიის წევრები:

1. ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახოზაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) 

2. ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა (კომისიის მდივანი) 

3. ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე 

4. ასისტენტ პროფესორი ალექსანდრე აპლაკოვი 